# სიცოცხლის მახარობელი



მარკ. 16,15-16

4/1980

№ 2

6-1915

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღდგა!!!
მოგილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას და გისურვებთ მამა ღმერთის მიერ მარადიულ სიცოცხლეს.
რედაქცია

## ფ ს ა ლ მ უ ნ ი 1

1 ნეტარ არს კაცი, რომელიც არ მისდევს ულმერთოთა რჩევას, არ დგას ცოდვილთა გზაზე და უსჯულოთა წრეში არ ზის.
2 არამედ უფლის სჯულშია მისი მისწრაფება და მის სჯულს მსჯელობს იგი დღე და ღამე.
3 იგი არის წყლის ნაკადულთან დარგულ ხესავით, რომელიც თავის დროზე იძლევა ნაყოფს და რომლის ფოთოლიც არ ჭკნება, და ასწრებს ყველა იმას, რასაც კი იგი აკეთებს.
4 როდი არიან ასე ულმერთოები, ისინი არიან ვით ჩენჩო, რომელიც ქარისაგან აღიგვება.
5 ამიტომ ვერ გაუძლებენ ულმერთონი სამართალში და ცოდვილნი - მართალთა შეკრებულზე.
6 რამეთუ ცნობს უფალი მართალთა გზას, ულმერთოთა გზა კი დაიღუპება.

# რას ეძებთ ცოცხალს მკვდრებთან?

იესო ქრისტე იყო ჯვარცმული და დასაფლავებული იოსების ბაღში, დედაკაცების თანდასწრებით,ეს იყო პარასკევი, შაბათს ისინი წყნარად დარჩნენ. კვირის პირველ დღეს მივიდნენ დილაადრიანად ნელსაცხებლით იმ ადგილას, სადაც იესო იყო დასაფლავებული. მათ დაინახეს, რომ ლოდი გადაგორებულია შიგნით რომ შევიდნენ, ვერ ნახეს იესოს ავამი და გაოცდნენ. უცბად მათ წინაშე წარსდგა ორი მამაკაცი ბრწყინვალე სამოსელში და რაკი შეეშინდათ, სახე დახარეს მიწაზე, მათ უთხრეს: რას ეძებთ ცოცხალს მკვდრებთან? (ლუკ.24,5). მათ ზოგადად ჰქონდათ ნაუწყები და განმარტებული, თქვენ უნდა გცოდნოდათ და გხსომებოდათ, რომ ვისაც ეძებთ, ის უნდა აღმდგარიყო, და ამისათვის თქვენ უნდა ეძიოთ არა მკვდარი, არამედ ცოცხალი, და არა მკვდრებთან, არამედ ცოცხლებთან.

დედაკაცებისთვის ქრისტე იყო მკვდარი მანამ, სანამ ისინი არ შეხვდნენ ანგელოზებს, რომელთაც ამცნეს მათ, რომ იგი აღდგა, იგი ცოცხალია. სამწუხაროდ ჩვენს დროშიც არიან მრავალნი, რომელნიც მსგავსად ამ დედაკაცებისა, ეძებენ ცოცხალს მკვდრებთან არა წერილის მიხედვით, რაც ნაუწყები აქვთ, არამედ თავიანთი საკუთარი ჩლუხგი გონებით: ზოგი ტრადიციებით, უმნიშვნელო საგნებით, როგორიცაა: ხატები, სამოსელი, სტატუები, გარეგნული ცერემონიები და სხვა მრავალი სახის რელიგიური ლიტურგიით მოჩვენებენ ხალხს თავიანთ მსახურებით წარმართთა საქციელით, გაზეთებში, კალენდრებში და მათ საყდრებში დღესაც ხშირად ნახულობთ ამ კერპთაყვანისმცემლობას, რასაც არავითარი საერთო არა აქვს რწმენასთან, ვინაიდან ასეთი რამ ღმერთს არ უთქვამს, არც ძველ და არც ახალ აღთქმაში, არამედ ეს ყველაფერი ამაოება, ილიუზია, ფუქი-ფუქსავატობა და სიცრუეა, რამაც ჩვენი ქართველი ერი დასცა და დალუპა. ამიტომ უშლიდნენ ხელს დღევანდლამდე სახარების გამოშვებას და გავრცელებას, რომ სიყალბე არ გამომჟღავნებულიყო და ხალხი ბრმა იარაღად გამოეყენებინათ თავიანთი საკუთარი დიდებისა და კარიერისათვის, რომ მათთვის ეძახათ „მამაო" და ანრიხებდნენ და დღესაც ანრისხებენ ღმერთს თავიანთი ცრუ საქციელით.

ქართველო ადამიანო! მოითხოვე ბიბლია, სიტყვა ღმერთის რომ წაიკითხო შეიტყო ჭეშმარიტება და შეიყვარო ღმერთი, რომ აღმდგარმა ქრისტემ გაკურთხოს, როგორც ზოგიერთი ქვეყნები: ფინეთი, შვეცია, ნორვეგია და სხვა მრავალი, ნურავის ნუ ვაბრალებთ ჩვენს უბედურებას, ნურც სტალინს და ნურც სხვას, არამედ მივანებოთ თავი მკვდრებთან ძებნას ცოცხლისას და ყალბ რელიგიურ ლაზღანდარაობას, რომელმაც მიიყვანა ბევრი კეთილი და პატიოსანი ქართველი ადამიანი ათეისტობამდე, გარყვნილებამდე და კიდევ მეტიც...
ნუთუ ვერ გაიგეთ, რომ სწორედ ეს არის ჩვენი დალუპვის მიზეზი? ერთმა ჩვენმა დიდმა მთის პოეტმა წინასწარმეტყველურად გაგვაფრთხილა, სადაც ამბობს: „გაღმა გამსვლელთა მსურველთა, უკუღმა მიგვყავს ბორანი".
ოი! დაუკვირდით!!! და დატოვეთ მკვდრებთან ცოცხალის ძებნა, შევიცნოთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთხელ და სამუდამოდ თვით ჩვენი დიდი დანაშაული აღმდგარ ქრისტესთან,
რომ მან მოგვანიჭოს მადლი და აღგვადგინოს დანაშაულის მიტევებით.
გიმეორებთ: ნურავის ნუ ვდებთ ბრალს და უბედურების მიზეზებს. ეს თვით
ჩვენი მკვდარი რელიგიური მმართველების ბრალია ჩვენი დაცემა. წაიკითხეთ
წმიდა წერილი, რომელი მოციქული გამოდიოდა ყავარჯნებით, ოქრო-ვერცხ-
ლით დამოჩვენების ქუდებით ხალხთან სახარებლად? ვინ იწოდებოდა მამად?
არ იცით, რომ სულიერ მამად არავის უწოდებდეთ? (მათ. 23,9). აბუჩად იგდებ
ღმერთის სიტყვას? მამას უწოდებთ ცრუ მღვდლებს? წაიკითხეთ მარკოზის
სახარება 6,7-9. როგორ გზავნის იესო თავის მოციქულებს, წაიკითხეთ პეტრ-
ეს მსახურება წერილებში, პავლეს მსახურება საქმეთა და კორინთელთა წე-
რილებში, როგორ ემსახურება ხალხებს და შეადარეთ ჩვენ ქართველ „ეპისკო-
პოსებს", დაუკვირდით, რაოდენი განსხვავებაა. წაიკითხეთ ტიმოთეს 1 ტიმ.2;
2 ტიმ.2, ტიტეს 1 თავები. აი ეკლესიის მმართველნი როგორ უნდა ყოფილიყვ-
ნენ. არა თეატრალური ანაფორებით, არამედ ჭეშმარიტი მსახურებით, არა
კარეგნული სამოსლებით, არამედ სულიერი სამოსლებით მსახურება, რომელიც
ჰქონდა ცოცხალ ეკლესიას: 1 კორ. 12,8-10: სად არის ეს ცხრა სულიერი ნი-
ჭი? სად არის რვა სულიერი ნაყოფი? რომელიც მოცემულია: გალ. 5,22 ში?
რომლის ნატამალსაც კი ვერ იპოვით დღევანდელ „მართლმადიდებელ" წოდე-
ბაში, განა ეს არ უნდა კმაროდეს ჩვენთვის, რომ არა სწორი მსახურებაა?
განა ღმერთი შეიცვალა? ან აღთქმა გამოცვალა, გააუქმა? ძალიან გარკვეუ-
ლად გვასწავლის წმიდა წერილი „იესო ქრისტე გუშინ, დღეს და სამარადისოდ
იგივეა". ეს სინამდვილე არ უნდა გვწამდეს? და თუ ეს არ გვწამს, განა მორ-
წმუნედ უნდა ვიწოდებოდეთ? რაც ათეისტობაზე უარესია? და ვატყუებდეთ
ჩვენს თავსა და საწყალ ხალხს? ეს არის უსასტიკესი დანაშაული ღმერთისა
და კაცის წინაშე, სად არის სინდისი? ეს არის, რასაც მოსთქვამს წინასწარ-
მეტყველი იერემია: „რამეთუ ჩემმა ერმა ჩაიდინა ორგვარი ცოდვა: „ დამტო-
ვეს მე სიცოცხლის წყარო და ქმნიან თავისთვის აქა–იქ თხრილების ჭებს, რაც
კი ხვრელებია და წყალს არ იძლევა" (იერ. 2,13). და ლოცულობს თავის ერი-
სათვის: „ახ, უფალო! ჩვენმა დანაშაულმა ეს დაიმსახურა; მაგრამ გვიშველე
მაინც შენი სახელისათვის! რამეთუ ჩვენი ურჩობა დიდია, რომლითაც შენს
წინააღმდეგ შევცოდეთ" (იერ. 14,7).
რას ეძებთ ცოცხალს მკვდრებთან? და გვიძახის ღმერთი თავის დიდი წყალო-
ბის სიტყვით: „გაიღვიძე, მძინარევ, და აღსდექ მკვდრეთით, და გაგინათებს
შენ ქრისტე".
ღმერთო! უფალო! უშველე ქართველ ერს. ამინ.

ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქრისტე აღდგა მკვდრეთით დიდებით.

№ 358 ებანი 458. (რომ. 6,4)

1. განთიადით ბრწყინავს ზეცა: ჩვენი მხსნელი ქრისტე აღდგა, მან სიბნელე განდევნა, ნათელი ცხოვრების მოგვცა.

2. მხოლოდ სამი დღე უფალი სიბნელით იყო მოცული. მესამე დღეს საფლავიდან აღდგა და ცოდვა დათრგუნა.

3. მებრძოლო! არ არის მტერი, რომელიც ვერ დაამარცხე. ჩემი გულის მძიმე ლოდი შენი ძალით გააქარვე.

4. აღდგა ის, რაღა ვიდარდო, მოვიდა ჩემს დასახსნელად, დე, მსოფლიომ მომიძულოს, მხსნელი ჩემთან არს, ვარ მშვიდად.

5. ის არის ჩემი მფარველი, მოვკვდები-მისი ვიქნები, ის არის ჩემი იმედი, მისკენ ესწრაფვება სული.

6. ქრისტე აღდგა! დახსნილი ვარ! ღმერთმა ღმერთთან შემარიგა, მუდმივ მეფობას მპირდება, დაღუპვისაგან დამიხსნა.

7. სიყვარულის მადლისათვის, მხსნელო, შენ სახელს ვცემ თაყვანს; აქაც და იქაც, როდესაც შენს სამკვიდროში წამიყვან.

### ფსალმუნი 118

დასჯით დამსაჯა უფალმა, სიკვდილს კი არ მიმცა.
გამიღეთ ჭიშკრები სიმართლისა, შევალ მათ შიგნით, ვადიდებ უფალს.
ეს არის ჭიშკარი უფლისა, წმიდანები შევლენ შიგ.
გადიდებ შენ, რამეთუ მიპასუხე და გახდი ჩემი მშველელი.
ქვა, დაწუნებული მშენებლების მიერ ქვაკუთხედად გახდა.
უფლისაგან მოხდა ეს — საოცარია ის ჩვენს თვალში.
ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა, ვილხინოთ დ ვიმხიარულოთ მასში.

# სამი ბაღი

წმიდა წერილში ჩვენ ვკითხულობთ მრავალ ბაღებს, თქმა ორმოცზე მეტს, მაგრამ მათ შორის გამოირჩევა განსაკუთრებით სამი მნიშვნელოვანი ბაღი, რომელიც ადამიანის ცხოვრებას ეხება:

**პირველი, ბაღი ედემის.** ღმერთმა გააშენა ედემის ბაღი, სადაც ადამიანი მოათავსა, რომ მასთან განუწყვეტელ ერთობლივ კავშირში ყოფილიყო, რადგან მას უყვარდა თავისი ხელის ქმნილება, ვინაიდან გარდა ადამიანისა, ღმერთმა სიტყვით შექმნა, როგორც ნათქვამია: „თქვა ღმერთმა და შეიქმნენ“ ასე შექმნა: ზღვა, ხმელეთი, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მცენარე, ცხოველი, ზღვაში თევზები და ცაში ფრინველები, ყველაფერი ხილული და უხილავი ცასა და დედამიწაზე შექმნა ღმერთმა სიტყვით (დაბ.1,3-25). ადამიანი კი განსაკუთრებულად შექმნა თავისი სახის მსგავსი არა სიტყვით არამედ მოქმედებით, საქმით. „და შექმნა ღმერთმა კაცი. მტვრისაგან დედამიწისა და, შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი ცოცხალი“ (დაბ.2,7). რომელიც ბატონი უნდა ყოფილიყო ყველა ქმნილებისა, რაც კი ღმერთმა შექმნა (დაბ. 1,28). მაგრამ სამწუხაროდ აი ვხედავთ ადამიანი ხდება გაუგონარი და ურჩი ღმერთის მიმართ და ემორჩილება ეშმაკს და ჭამს აკრძალულ ნაყოფს ედემის ბაღიდან, რის შემდეგ იწყება ღმერთსა და ადამიანს შორის განხეთქილება, აქ ირღვევა ღმერთსა და ადამიანს შორის მშვიდობიანობის კავშირი, ერთიანობის ხიდი ჩატყდა და იწყება განუწყვეტელი კონფლიქტი. ამას ჩვენ ვკითხულობთ (დაბ. 3,23) ტაეპში გამოასახლებს და გამოაძევებს 24 ტაეპში, ეს ნიშნავს, რომ ადამიანს არ უნდოდა სამოთხიდან გამოსულიყო და ღმერთის გარეშე ეცხოვრა, მაგრამ ურჩთან კავშირს ღმერთი არ ითმენს დღევანდლამდე.

აქ პირველად იბადება ადამიანში შიში (დაბ.3,10) „შენი ხმა გავიგონე, მაგრამ შემეშინდა, რადგან შიშველი ვარ“. ამის შემდეგ დასადგურდა ადამიანში მუდმივი შიში დღევანდლამდე, შიში ყველა დარგში და მიმართულებაში არა მარტო ადამიანში, არამედ ყველა სულიერ ქმნილებაში მთელი სამყარო შიშით არის მოცული, ადამიანიდან დაწყებული, ცხოველი და მცენარეც კი ყველა მტრობასა და ბრძოლაშია ჩაბმული და ოხრავს და ელოდება გამოხსნას (რომ. 8,19). იმიტომ, რომ ადამიანის ურჩობის გამო ღმერთმა დაწყევლა დედამიწა და უთხრა: „ეკალსა და კუროსა თავსა აღმოცენდეს“ (დაბ. 3,17-18), ამ ეკალსა და კუროს ვპოულობთ ჩვენს ცხოვრებაში, როგორც წერილშია ნათქვამი: სიძულვილი, ეგოიზმი, მტრობა და სიკვდილი (მარკ. 7,21-23; 1კორ. 6,9-10; გალ. 5,19-21). ასე დაეცა ადამიანი ბოროტისაგან; მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მან ასე არ დატოვა ადამიანი, არამედ აქვე აღუთქვა მადლი და წყალობა, იესო ქრისტეს მეშვეობით ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტისაგან გამოხსნისათვის, რაც მოხდა ამ ბაღში წყევლის გასაბათილებლად(დაბ. 3,15; გალ. 4,4; დაბ. 12,1-3;3,8; დაბ. 49,10; რიცხ. 24,17; მათ. 2,2; 2სჯ. 18,15; 2მფ. 7,12; ლუკ.1,32; ფს.12,6;ეს. 9,5-6; 11,1-2; მათ 12,18; ეს. 53,1-12; 61,1-2თ ლუკ. 4-18) და მრავალი სხვა დაპირებანი, რომლებიც გამართლდნენ და მართლდებიან ყველა მორწმუნეზე.

**ბაღი მეორე გეთსემანია.** სადაც უფალი იესო ქრისტე ამარცხებს იმ მაცდურ ეშმაკს, რომელმაც ადამი შეაცდინა, აქ იესომ ბოროტი დაამარცხა და დასცა. და თავდებად უდგება მთელ კაცობრიობას ამ ბოროტის ბრჭყალებიდან გამოხსნისათვის და აღადგენს ღმერთსა და ადამიანს შორის მშვიდობიან კავშირს. რომელიც დარღვეული იყო. იმ სასმისში იყო მთელი კაცობრიობის ცოდვა და დანაშაული, რომელიც მან შესვა ამ გეთსიმანიის ბაღში (მათ. 26,36-46; მარ. 14,32-42; ლუკ. 22,40-46), **ამრიგად ჩატეხილ ხიდს,** რაც მოხდა ადამის ურჩობის გამო, აშენებს და აღადგენს იესო ყველა მისი მორჩილისათვის ღმერთსა და ადამიანს შორის (რომ. 5,12-21).

**ბაღი მესამე–საფლავი.** აქ იესოს მიერ გაღებული მსხვერპლით, მისი ჯვარზე სიკვდილით და მისი დასაფლავებით ამ ბაღში და მესამე დღეს მისი აღდგომით სიკვდილს ძალა წაართვა სიცოცხლის ბრწყინვალე გამარჯვებით (ეს. 53,9; 2ტიმ. 1,10; ებრ. 2,14; ფს. 12,6).
ის, რომელი სიცოცხლეც ადამმა ბაღში დაკარგა ურჩობის გამო, და მასში შევიდა სიკვდილი და მით ყოველ დაბადებულში,აღდგენილ იქნა:„როგორც ერთი შემცოდავის მიერ ყველა ადამიანის დაღუპვა, ასევე ერთის სიმართლის მიერ ყველა ადამიანისათვის გამარჯვება სიცოცხლისათვის(რომ.5,18) ამიტომ ყოველი, ვინც კი მასთან მივა, ღებულობს მისგან უკვდავებას(იოან. 11,25-26), ამავე დროს შიშმა, რომელმაც ედემის ბაღში შეაკრთო ადამიანი და შიშის მონად გადააქცია, ამ შიშიდანაც ათავისუფლებს ამ ბაღში აღმდგარი მშვიდობის მეფე. ამიტომ მასთან მოსულ ადამიანს აქვს უშიშროების ლოზუნგი: „არ შეძრწუნდეთ და არ შეშინდეთ“ (იოან. 14,27; 1იოან. 4,18; რომ. 8,15).
ო! მეგობრებო, მოდით ქრისტესთან, ის გაგათავისუფლებთ ყოველგვარ ცოდვებისაგან, ბოროტის ტყვეობისაგან, შიშისა და ძრწოლვისაგან, შურიანობისა და სიძულვილისაგან და მრავალი ხუნდებისაგან, რომლითაც შებოჭილი ხართ და თავი ვერ დაგიღწევიათ. აი, ქრისტე გათავისუფლებს.
ამისათვის ქება–დიდება უკუნითი უკუნისამდე სიცოცხლის მეფე მაცხოვარ ქრისტეს. ალილუია, **ამინ.**

ქრისტიანი

### ის აღდგა. რათა გაგვამართლოს.

№ 361 ბობლანი 28. (რომ. 4,25)

1. სიკვდილო, სად არის შენი ძალა? ჯოჯოხეთის ძლევა დიდი? აღდგა ქრისტე! მასში გაბრწყინდა აღდგომისა განთიადი.

მისამღერი: ქრისტე აღდგა! ცოდვა გაქრა, რომ სული ღვთის დაემკვიდროს, ქრისტე აღდგა, რომ ჩვენ მკვდარნი სამარიდან აღგვადგინოს. ოჰ, რა სიხარულია ეს, ო, რა სიხარულია ეს, ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა! მას ქება დიდება.

2. იხილეს, რომ ლოდი არ არის და შიგ ანგელოზი იდვა, მან აუწყა მწუხარე დედებს: „ქრისტე არ არის, ის აღდგა!"

3. ის აღდგა, რომ კაცის გულიდან ცოდვის ქვა გადააგოროს, ის აღდგა, რომ სულიწმიდითა ჩვენი სული გაანათლოს.

4. ის აღდგა, რომ სასუფეველი ცოდვილ გულში დაამყაროს, ის აღდგა, რომ აღდგომის დღეს გამოსყიდულნი მიილოს.

### დილით ადრე ვერ ნახეს უფალი.

№ 359 ებანი 488. (ლუკ. 24,3)

1. როგორც კი განთიადი დადგა, ქრისტე-მხსნელი ჩვენი აღდგა და დასაბამი აღდგომისა გამოსყიდულთ მოუტანა.

2. ქრისტე აღდგა! და სატანჯველი ეხლა ჩვენ აღარ გვაშინებს, ქრისტე აღდგა! სულის ცხონებას თავის აღდგომით ის გვაძლევს.

3. ქრისტე აღდგა! მუდმივ სიცოცხლის წმინდა წინდი გვაჩუქა ჩვენ, მიიღე ქება და მადლობა, ღმერთო ჩემო, დიდება შენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულმოწყალე სამარიტელი

და აი, სჯულმდებელი წამოდგა და იესოს გამოსაცდელად თქვა: როგორ მოვიქცე მიძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?
იესომ უპასუხა მას: სჯულში როგორ სწერია? შენ როგორ კითხულობ? მან უპასუხა: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. უთხრა მას იესომ: სწორედ მიპასუხე, ეგრე მოიქეცი და იცოცხლებ. მაგრამ მას თავის გამართლება უნდოდა და იესოს ჰკითხა: ვინ არის ჩემი მოყვასი? იესომ უპასუხა: ვინმე კაცი მიდიოდა იერუსალიმიდან ქვეით იერიხოსკენ დაესხნენ ყაჩაღები, რომლებმაც სამოსელი გახადეს, დაჭრეს და წავიდნენ, ის კი ცოცხალ-მკვდარი დატოვეს.
ამ დროს შემთხვევით ერთი მღვდელი მიდიოდა იმავე გზით ქვეით, დაინახა იგი და გვერდი აუქცია. ასევე ლევიტმა ჩაიარა იმ ადგილას, მივიდა, დახედა და გვერდი აუქცია, მერე ვინმე სამარიტელმა გამოიარა, დაინახა და შეეცოდა, მივიდა მასთან, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო მოასხა, შესვა თავის სახედარზე, მიიყვანა სასტუმროში და იზრუნა მისთვის. მეორე დღეს, გამგზავრებისას, სასტუმროს პატრონს ორი დინარი მისცა და უთხრა: იზრუნე ამაზე და თუ მეტი ხარჯი მოგივა რომ დავბრუნდები, მოგცემ. (ლუკ. 10, 1-16).
ამ მონაკვეთს, რელიგიური თეოლოგები და ზოგი ბიბლიის მკითხველი საზოგადოება ძალიან ზერელად განმარტავს და მხოლოდ აქ მთელ ყურადღებას უთმობს გულმოწყალეობას და შებრალებას, ეს ნაწილიც ცხადია, არის, მაგრამ უფრო მეტ სხვა მნიშვნელოვან საიდუმლოებას გვაძლევს ქრისტეს მოძღვრება, ვიდრე მარტო მოწყალებისას.
**გზა:** იერუსალიმიდან იერიხოსკენ მიმავალი ადამიანი ნიშნავს: წმიდა ქალაქიდან წყეულ ქალაქისაკენ (ისუ ნ. 6, 26). ამავედროს მიმავალს ზეიდან ქვეით (ბიბლიაში როცა ითქმება ზევიდან ქვევით, ეს ნიშნავს სიმბოლურად დაცემის მდგომარეობას). ასეა ყოველი სრულწლოვანი ადამიანის ცხოვრება. რამდენი ხანიც გადის, ურწმუნოში მატულობს უღმერთობა და მიდის დაცემულობისაკენ თავისი ცოდვიან ცხოვრების გზაზე ვარდება ბოროტების ხელში და სულიერად მთლად იძარცვება.
**ყაჩაღები:** ესენი არიან დემონები (ეფს. 2, 2; რომ. 7, 23-24), რომლებიც ულმერთო გზაზე მიმავალ ადამიანს ხვდებიან და ძარცვამენ, ზოგიერთ კეთილი თვისების მქონეს მთლად აშიშვლებენ (როგორც ადამს, უბედურ ნერვიულობაში, დეპრესიებში და მღელვარებაში აგდებენ. ასეთია ეს ვინმე კაცი.
**მღვდელი:** ეს არის სიმბოლო ტრადიციული რელიგიისა, რომელსაც არ ძალუძს ამ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს უშველოს, ამას ჩვენ ვხედავთ რეალურად პრაქტიკულ ცხოვრებაში, სწორედ ისე, როგორც ამ მღვდელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ უშველა იმ საწყალს, რადგან რელიგიაც სოფლის ტრადიციებით არის მოცილი, მათ არ გააჩნიათ არც ზეთი არც ღვინო (არც სულიწმიდა და არც სულიერი ნიჭი) ხალხის გამოსახსნელად, რადგან თვითონ იმავე გზით მიდიან იერუსალიმიდან დაწყევლილ იერიხოსაკენ, თქვენც, რომელ რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდეთ, თქვენი ცოდვებისაგან ვერ განთავისუფლდებით. თქვენ გჭირდებათ სამარიტელი იესო ქრისტე, ვინაიდან მამა ღმერთმა მხოლოდ მას დაუმოწმა (იოან. 6,27); „და არ არსებობს გადარჩენა არც ერთ სხვაში, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც ჩვენ უნდა ვიქნეთ გადარჩენილნი. (საქ. 10,43 ; კოლ. 1,14-20; 1 თეს. 5,9; 1 ტიმ. 2,5-6).

**ლევიტი:** ეს არი სჯული (კანონი). ვერც კანონი გიშველით, კანონს არ შეუძლია დანაშაულისგან გაგანთავისუფლოს, რამეთუ სჯული ამბობს: „შენ არ უნდა ჩაიდინო და თუ ჩაიდენ, დაისჯები! ისე რომ სჯულმა წყალობა არ იცის, ამიტომ ვერც გიშველის ისე, როგორც იმ ადამიანს ვერ უშველა. კანონი დანაშაულის განაჩენის გამომტანია. ამიტომ შენ გჭირდება გულმოწყალე სამარიტელი იესო ქრისტე ძე ღმერთისა.

**სამარიტელი:** ეს უწოდეს იესოს , მაშინდელმა პოლიტიკურმა და რელიგიურმა მოდგმამ (იოან. 8,48), აი სწორედ ეს სამარიტელია, რომელიც მოავლინა მამა ღმერთმა მადლითა და მოწყალებით აღსავსე ყოველი ადამიანისათვის, მას აქვს ზეთი და ღვინო შენი ჭრილობების განსაკურნებლად (1 მფ. 16,13; ეს. 61,1; ლუკ. 4,18; საქ. 10,38; ებრ. 1,19). მას ძალუძს რაც უნდა დაცემული ადამიანი იყოს, აღადგინოს და სრულყოფილი გახადოს.

**სასტუმრო:** ეს არის სალოცავი სახლი, სადაც გროვდება ეკლესია და აშენებს სულიერ ტაძარს (1 პეტ. 2,5). პატრონი კი პასტორია ანუ ხუცესი (ლათ. პასტორი=მწყემსი). ასე იესოც ყველა თითოოდ გამოჰყავს ცოდვილ ქვეყნიდან სულიერად დასახიჩრებული ადამიანი თავის საკვირველ სინათლეში (ფს. 68,7; 1 პეტ. 2,9) ამიტომ შესძახე შენც, რომ გამოგიყვანოს ამ ქვეყნის საშინელ აურზაურიდან და მოგიყვანოს წმიდათა მშვიდობიან ეკლესიაში.

**სახედარი:** სულიერი ძალაა, რომლითაც ატარებენ სიყვარულით სუსტებსა და უძლურებს... (რომ. 15,1-3; 1 თეს. 5,14), ყოველი მორწმუნე ღებულობს ამ ძალას ქრისტესაგან (იოან 1,12; 2 პეტ. 1,3; ეფს. 1,19), რასაც ვერ პოვებთ ვერცერთ რელიგიაში, რაც უნდა ქებული იყოს თავისი ხილული ტრადიციებით. თქვენ გესაჭიროებათ პირადად ეს გულმოწყალე სამარიტელი თქვენი საამო სიცოცხლისათვის, რომელიც არის იესო ქრისტე.

უცხოელი

დიდად პატივცემულო ბატონო გ ივი!
აი, გიგზავნით თქვენი თხოვნით ჯვარი ვაზისას და წმიდა ნინოს სურათს,
ეს მხოლოდ თქვენი პირადი პატივისცემისთვის, თორემ ასეთებით
საქართველოს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს, რამეთუ ყოველი ასეთებით
მსახური დიდად სცოდავს ღმერთისა და თავის ერის წინაშე 2მოსე 20,3-5.
თქვენი ანტონ ბაინდურაშვილი



**ჯვარი ვაზისა, (335 წ.)**

**(დაცულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში).**

• წმ. ნინოს ვაზის ჯვრის შესახებ ცნობები იხილეთ: Епископ Кирион. Краткий очерк историй Груз. церкви, გვ. 335–345. М. Ттемаладзе, Тифлисский Сионский кафедральный собор, 1904 წ. გვ. 21—33. А. Натроев, Мцхета и его собор Свети-Цховели, 1901 წ. გვ. 129—132. «Весь Кавказ», 1903 წ. № 1. ისტორიული განყოფილება, გვ. 50–51. მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, 1886 წ. გვ. 143. მელ. კელენჯერიძე, საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, 1918 წ. გვ. 25–27.



**მოციქულთა მოდასე წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელი**

**წმიდა ნინოს ტროპარი, ხმა მე-4**

სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

№ 352

1. მოწყალე ხელები ჩვენი უფლისა, რომლებმაც იტვირთეს სიმძიმე ჯვრისა, ის ხელები ჰყოფდნენ სიკეთეს მრავალს, იმ ხელებს ვუწყობთ ჩვენ ქება-დიდებას.

2. ხელები კურნავდნენ მრავალ სნეულებს, მოწყალე ხელები აცოცხლებდნენ მკვდრებს, ხელები ზღვის პირზე პურს ამრავლებდნენ, ის ხელები უძლურთ აძლიერებდნენ.

3. ხელები მილურსმული იყვნენ ჯვარზე, მათ გამოგვისყიდეს ჩვენ გოლგოთაზე, ის წმინდა ხელები გვაძლევდნენ შვე-ლას, მათი დახმარებით მივაღწევთ ზეცას.

4. მოწყალე ხელებსა მუდამ ვუცქერ მე, ლოცვით აპყრობილსა ჩემთვის დღე-ღამე, ვხედავ იმის წყლულებს ვხედავ მე სისხლსა, ვინც რომ მოკვდა ჩემთვის, ის ძეა ღვთისა

## ფ ს ა ლ მ უ ნ ი 43

1 განმიკითხე, ღმერთო, და იდავე დავა ჩემი, არაკეთილი
ხალხისაგან, ცბიერი და ბოროტი კაცთაგან მიხსენი.
2 რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი თავშესაფარი. რათ
მიმატოვე? რათ, მაიძულე, რომ ვიარო მტრისაგან
შეჭირვებულმა?
3 გამოავლინე შუქი შენი და ჭეშმარიტება შენი. ისინი
წამიძღვებიან და მიმიყვანენ შენს წმიდა მთასთან და
შენს სამყოფელთან.
4 და მივალ ღმერთის სამსხვერპლოსთან, ჩემი დაუშრეტელი
სიხარულის ღმერთთან; და გადიდებ შენ ქნარით,ღმერთო,
ჩემო ღმერთო!
5 რას მწუხარებ, სულო ჩემო, და დამკვნესი? მიენდე
ღმერთს, რამეთუ კვლავ ვადიდებ მას — ჩემს მხსნელსა
და ჩემს ღმერთსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავითი და გოლიათი

**ბიბლიის** 1მფ. 17 თავში ჩვენ ვკითხულობთ ერთ რეალურ მონაცემს ვინმე ფილისტიელზე, რომელსაც სახელად გოლიათი ერქვა და რომელიც აღწერილია, როგორც ფიზიკურად დიდი და ძლიერი, მთელი სხეული ჯავშნით აქვს შემოსილი და იმ პერიოდში საკმაოდ დიდ ფიგურას წარმოადგენს.
სწორედ ის იყო შიშის ზარს რომ სცემდა ისრაელთა ბანაკს, ყოველდღე ემუქრებოდა და ლანძღვა–გინებით უგზავნიდა როგორც ისრაელთ, ასევე მათ ღმერთსაც.
ეს სწორედ ის გოლიათია, რომელიც დღესაც ბობოქრობს მშვიდობიან ერებზე, თავისი სიდიდით და ძლიერი შეიარაღებით ყოველდღიურ და ყოველმხრივ ემუქრება როგორც მშვიდობიან მცხოვრებთ, ასევე უზენაესს,
ისრაელის ბანაკშიც იყო კაცი, რომლის იმედიც ჰქონდა ხალხს ეს იყო მეფე საული რომელმაც ბევრ ბრძოლაში დაამარცხა მტერი და გამარჯვება მოუტანა თავის ხალხს, მაგრამ ისიც კი დაიმორჩილა შიშმა (1მფ. 17, 11), მიუხედავად იმისა, რომ ერთი თავით მაღალი იყო ყველა ხალხზე (1მფ. 10, 23), დღესაც არის ხალხთა შორის ძლიერად შეიარაღებული, მაგრამ საუბედუროდ ისიც დიდ შიშში და კრთოლვაშია მიუხედავად საულივით ერთი თავით მაღალია და საკმაოდ კარგად შეიარაღებული (1მფ. 17, 38), მაგრამ ისიც დღევანდელ გოლიათის შიშმა მოიცვა, ყველა ცახცახებს.
აი, სწორედ ამ უკიდურესობის დროს, როცა ისრაელთა რაზმში შიში სუფევდა (1მფ. 17, 23-24) ჩნდება ერთი უცნები შავგვრემანი და ლამაზი ახალგაზრდა სახელად დავითი, რომელიც ისმენს გოლიათის წყევლა-კრულვას ისრაელსა და მისი ღმერთის მიმართ, სულით მრისხანდება ეს ახალგაზრდა დავითი და განაცხადებს გოლიათის წინააღმდეგ ბრძოლას, მეფე საული აფრთხილებს ამ ჭაბუკს და ეუბნება: „შენ გოლიათს ვერ დასძლევ. იგი გამოცდილი მეომარია ჯავშნითა და შუბით, მახვილითა და მუზარადით შეჭურვილი. დავითი უყვება თუ როგორ დასცა და მოკლა ერთდროულად მტაცებელი ლომი და დათვი და დასძენს. ‚ღმერთი, რომელმაც ლომისა და დათვისაგან დამიხსნა, იგი დამიხსნის მაგ წინდაუცვეთელ ფილისტელისაგან (1მფ. 17, 34-37). დავითი, რომელმაც მტაცებელი, მხეცი გოლიათისაგან დაიხსნა ისრაელი, ის დაგვიხსნის ჩვენ მორწმუნეებს გველეშაპისაგანაც (გამოცხ. 13, 2).
ამას ვხედავთ სინამდვილეში, რომ ამარცხებს დავითი გოლიათს, რაც ადამიანური გონებით ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო. თვით დავითმაც იცოდა, რომ ეს მისთვის შეუძლებელი იყო და ვხედავთ, ის არ ეყრდნობა არც თავისთავს, არც იარაღს, რაც მას შესთავაზეს, არამედ უზენაესზე ამყარებს თავის გამარჯვების იმედს (1მფ. 17.36) და მიდის მთელი რწმენით. ეს ცხვრის

მწყემსი ჭაბუკი ფიზიკურად მთლად შეუიარაღებლად თავის ჯოხით (კვერთხი) და ხევიდან იღებს ხუთ გლუვ ქვას (აღთქმებს მოსეს ხუთი წიგნიდან) და აი ამით ამარცხებს იმ უზარმაზარ გოლიათს და რაკი ფიზიკური იარაღი არ გააჩნდა გოლიათს თავისივე მახვილით მოჰკვეთა თავი და ამით მისცა თავის ერს საუცხოო გამარჯვება და სამუდამოდ მოაშორა სირცხვილი.
სწორედ ამ დავითმა მიიღო უფლისაგან აღთქმა, რომ მისი წელიდან გამოსული, ესე იგი მისი შთამომავალი მოსპობს და გაანადგურებს ეგრეთწოდებულ ურჩხულს თავის მხეცებთან ერთად და იხსნის თავის ერს და იმეფებს მარადიულად. 2მფ.7,12-16; ფს.2,110; მათ.22,41-45; ფილ.2,8-11). დღევანდელ მტარვალთა ძლადობა და ტერორიზმი, ბობოქრობს და იმუქრება თავის პოლიტიკით და რელიგიებით ჭეშმარიტ მორწმუნეთა წინააღმდეგ, მაგრამ მალე სრულიად მალე ის დავითი მისივე მახვილით თავს მოჰკვეთს ბოროტებას, როგორც გოლიათს,და სამუდამოდ გამოიხსნის თავის მორწმუნე ერს იესო ქრისტეს ხელით. (ეს.63,16; ეზკ.39,17-20; იოელ 4,14; ზაქ. 12,2-9; გამოცხ. 14,14-20; 19,11-20),როგორც დავითი თავისი ერის მხსნელი იყო და ისრაელის მტრის გამანადგურებელი, ასეთია მისი შთამომავალიც–მორწმუნისათვის მხსნელია და ურწმუნოთა ბრბოსათვის გამანადგურებელი მახვილი.
ახლა შენს ხელშია არჩევანი. აირჩიე ამ ორ შორის, რომელიც გნებავდეს. ამ ზემოაღნიშნულ მონაცემს ირწმუნებ თუ არა ირწმუნებ, შენზეა დამოკიდებული. ერთი კი მტკიცედ იცოდე, რომ ყოველივე ურყევად და უნაკლოდ აღსრულდება, თქვენი ურწმუნოება სამწუხაროდ მხოლოდ თქვენზე მოახდენს გავლენას, ამ გათვალისწინებულ გეგმის მსვლელობას ვერავითარი ურწმუნოება ვერც შესვლის და ვერც შეაჩერებს, ისე, როგორც მზის და დედამიწის ბრუნვის შეჩერება არავის ძალუფს, ირწმუნებთ, ეს იქნება თქვენგან დიდება ღმერთის მიმართ (რომ. 4,20) და თქვენ შეგამკობთ ღმერთი დიდებით. იქნებით ურჩი და ურწმუნო ღმერთის მიმართ, თქვენს თავს შეურაცხყოფთ და დაღუპავთ სამუდამოდ (იოან. 3,17-18; 12,47-49). ისე რომ აქ თვითეულ ადამიანს გამოაქვს განაჩენი თავისთავისადმი აწმყოში და მომავალში და სამარადისოდ ეს არის კეთილი თუ ბოროტი (რომ. 2,11; 2კორ. 5?10) და თუ მარადიულობაც არ გინდათ, რომ იწამოთ, მაშინ პირუტყვ ცხოველზე დაბლა დგახართ, თუნდაც მთელი მეცნიერებათა ხარისხები (დიპლომატები) ატაროთ (ფს.49,13. 17-20) ესკი მტკიცედ იცოდეთ, რომ ქრისტეს უყვარხართ თქვენც და სურს თქვენი გადარჩენაც (იოან.3,16).

თქვენ კი ქრისტეს მოყვარულნო, საყვარელნო დებო და ძმებო, შეიარაღდით სულიერად ჩვენთვის მოცემული კვერთხით და გლუვი ქვებით, რითაც გავანადგურებთ ყოველგვარ ბოროტებას (ეფს. 6,11-17; 1პეტრ. 2,3-4) და გამარჯვებით ვიზეიმოთ ქრისტესთან ერთად. ალილუია. **ამინ.**

ნინიგორელი

# ფსალმუნი 27

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 უფალი ჩემი სინათლეა და მაცხოვარი ჩემი; –ვის შევუშინდე?
უფალი სიმაგრეა ჩემი სიცოცხლის, – ვისგან შევძრწუნდე?
2 თუ დამესხმიან თავს ბოროტნი ჩემი სხეულის შესაჭმელად –
მჩაგვრელნი ჩემნი და მტერნი ჩემნი, – თვითონვე წაბორ-
ძიკდებიან და დაეცემიან.
3 თუნდ ჯარმაც რომ გამოილაშქროს ჩემს წინააღმდეგ, არ
შეშინდება ჩემი გული; თუ ომი ატყდა ჩემს წინააღმდეგ,
მაინც იმედი მაქვს.
4 ერთს ვთხოვდი უფალს, იმას ვევედრები: იყოს ჩემი ბინა
უფლის სახლში ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ვიხილავდე
უფლის სიმშვენიერეს და მის ტაძარს ვინახულებდე.
5 რამეთუ დამფარავს იგი თავის კარავში გაჭირვების
ჟამს, დამმალავს თავის კარვის სამალავში, კლდეზე
ამამაღლებს.
6 და ახლა მაღლა ავწევ თავს გარსშემოხვეული მტრების
მიმართ და შევწირავ მის კარავში მსხვერპლსა ქებისა
ვუმღერებ და ვუგალობებ უფალს.
7 ისმინე, უფალო, ჩემი ხმა, როცა მოგიხმობ; შემიწყალე
და მიპასუხე.
8 შენით ამბობს ჩემი გული: „მოძებნეთ ჩემი სახე“;
შენს სახეს მოვძებნი უფალო,
9 ნუ დამალავ შენს სახეს ჩემგან, რისხვით ნუ უკუაგდებ
შენს მონას. ჩემი შემწე იყავი უწინ, ხელს ნუ მკრავ და
ნუ მიმატოვებ, ღმერთო, ჩემო მხსნელო.
10 ვინაიდან დედ–მამამ ჩემმა დამტოვა, ხოლო უფალი
მიმიღებს მე.
11 მიწინამძღვრე, უფალო, შენს გზაზე და დამაყენე სწორ
კვალზე ჩემი მტრების გამო.
12 ნუ გადამცემ ჩემი მტრების სურვილისამებრ, რამეთუ
აღდგნენ ჩემს წინააღმდეგ ცრუ მოწმენი და ბოროტებით
სუნთქავენ.
13 მაგრამ მე მწამს, რომ ვიხილავ უფლის სიკეთეს ცოცხალთა
ქვეყანაში.
14 მიენდე უფალს, გამხნევდი, გაიმაგრე შენი გული, მიენდე
უფალს.

# მოფრქვევა სულიწმიდისა

„და იქნება ამის შემდეგ დღეებში, ამბობს ღმერთი, მოვაფრქვევ ჩემი სულისაგან ყოველ ხორციელზე). და იწინასწარმეტყველებენ ძენი თქვენი და ქალიშვილები თქვენი და ჭაბუკნი თქვენი იხილავენ მოჩვენებებს, და უხუცესნი სიზმრის ნახვით გონიერნი იქნებიან; და მონებზე და მხევლებზე მას დღესა მოვაფრქვევ ჩემი სულისაგან, და იწინასწარმეტყველებენ. და ვაჩვენებ სასწაულებს ზეცაში მაღლა და ნიშნებს დაბლა დედამიწაზე და სისხლსა და ცეცხლს და საკმეველ კვამლსა. და იქნება: ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება".

თუ ღმერთი ამბობს: „იქნება" ეს აუცილებლად აღსრულდება. ამას წინასწარ იმიტომ გვიცხადებს, რომ ჩვენ მოვემზადოთ შეპირებულის მიღებისათვის რომ როდესაც ეს მოხდება, არ ავიცდინოთ ღმერთის კურთხევა. ამ მიზნით გვიცხადებს მრავალნაირად ღმერთი, ეს არის სასიამოვნო თუ უსიამოვნო წინასწარმეტყველება, რომ გამოცხადებისას ვეცადოთ გამოვასწოროთ ჩვენი დანაშაული, რომ ღმერთმა მოგვიტეოს და არ დავისაჯოთ, როგორც ნინიველებზე გაწია მოწყალება(წიგნი იონა), სასიამოვნო შეპირებისთვის მოვემზადოთ თხოვნითა და მადლობით მიღებისთვის. ამას პრაქტიკაში ვხედავთ ბიბლიაში მრავალმხრივ ისრაელ ხალხზე (ეზკ.3,17-21), ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ სინამდვილეში იქნა აღსრულებული ეს მშვენიერი აღთქმა ქრისტეს მიერ, როცა მან თავის ამაღლების წინ განუცხადა და აღუთქვა მის მოციქულებს სიტყვიერად: „და მე მოგივლენთ თქვენ მამაჩემის აღთქმულს. თქვენ კი დარჩით ქალაქ იერუსალიმში, ვიდრე მაღლიდან შეიმოსებოდეთ ძლიერებით," (ლუკ 24,29) აგრეთვე განაგრძნობს და ჰპირდება: „რამეთუ იოანე გნათლავდათ წყალში, თქვენ კი რამდენიმე დღის შემდეგ მოინათლებით სულიწმიდით" (საქ.1,5,8). მისი ბრძანებით, ამაღლების შემდეგ მოციქულები ბრუნდებიან იერუსალიმში და ემზადებიან დაპირების მისაღებად 120 სულამდე (საქ.1,13-15).

(მეერგასისა) ორმოცდამეათე დღეს შესრულებისას, ყველანი ერთად იყვნენ ერთსულოვნად. უეცრად გაისმა ხმაური ზეციდან, მძლავრი ქარიშხალის მსგავსად, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ. და ეჩვენათ მათ, თითქოს ცეცხლისებური გაყოფილი ენები და თითო-თითოდ დაედგათ ყოველ მათგანზე. და ყველა აღივსო სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი უცხო ენებზე, როგორც სულიწმიდა აძლევდა სიტყვის წარმოთქმას (საქ.2,1-4).

ამ მომხდარი ამბავისაგან ზოგიერთის გაუგებრობის გამო, გამოდის მოციქული პეტრე და თავის სიტყვაში აღიარებს ხალხის წინაშე იმ ზემოაღნიშნულ ფაქტს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაც იწინასწარმეტყველა იოელმა (საქ. 2, 14-21)... ამ სულიწმიდით ნათლობას
ქხედავთ მთელი რიგი იმავე ნიშნებით სამარიაში, კესარიაში ეფესოში და სხ-
ვა მრავალ (საქ. 8, 15-18; 10, 44-48; 19, 1-7) და ასე შემდეგ მთელ მოციქულე-
ის წერილებში გვაჩვენებენ ამ ნიშნებს (1 კორ. 12, 8-10; ეფს. 1, 13-14) და
ხვა (ეს არის საწინდარი მარადიული სიცოცხლის). ამის გარეშე ეკლესიის არ-
ებობა შეუძლებელია. არავითარი უსულო მშვინვარე ადამიანს ქრისტეს ეკლე-
იის მსახურება არ შეუძლია, ამიტომ არის გარდა ზეციდან შობისა და მაღლ-
დან ცხებულისა, ყველარელიგიური ლიტურგია სიყალბე და სიცრუეა მთელი თა-
ისი თეოლოგიური ცოდნით, რამეთუ არავითარი კლასიკური და თეოლოგიური
ოდნით არ შეუძლიათ მიიღონ სულიწმიდა, თუმცა მათაც მიეცემათ, თუკი უფ-
ის სიტყვას დაემორჩილებიან მონანიებითა და იესოს სახელით მონათვლით
მარ. 16, 15-18; საქ. 2, 38), როგორც პირველ საწყისში იყო ეს ჭეშმარიტება და
იმდინარეობდა მთელი თავისი ძლიერებითა და ნიშნებით მეხუთე საუკუნემდე,
ს იყო ადრეული წვიმა. მეხუთე საუკუნეში, როცა საერთო სახელმწიფო ქრი-
ტიან რელიგიად გამოცხადდა და ეკლესია ძალით გააერთიანეს წარმართთა
ელიგიებთან კომპრომისის საფუძველზე და შემოიღეს კერპთაყვანისმცემლობა
ავისი რელიგიური ხელოვნებით, ტრადიციებით და ფორმებით, მაშინ სულიწმი-
ამ დატოვა და მხოლოდ პატარა ჯგუფებში უჩინრად მოქმედებდა ყველა ერე-
ში მეთვრამეტე საუკუნომდე, მაგრამ ღმერთმა აღგვითქვა აგრეთვე წვიმა გვი-
ნეული (2 სჯ. 11, 14; ოს. 6, 1-3; ზაქ. 10, 1), რომელიც დაიწყო მეთვრამეტე საუ-
უნეში და მომდინარეობს გაძლიერებით დღევანდლამდე და იმდინარებს ქრისტეს
ეორედ მოსვლამდე, რაც უკვე კარზეა მომდგარი.
მიტომ მოიქეცით, შესძახეთ და შეჰღაღადეთ გულმოწყალე ღმერთს და ქრისტეს
ომ მიიღოთ ის საწინდარი სულიწმიდა, რომელიც მხიარულად შეგვახვედრებს
ხლო მომავალ დღეებში იესო ქრისტეს, რომელიც უნაკლოდ და უმწიკვლოდ წა-
გვადგენს მამა ღმერთის წინაშე მარადიულ ბრწყინვალე სამეფოში. (ეფს. 5,
6-27; კოლ. 1, 22; იუდ. 24-25; გამოცხ. 19, 6-7).
ი! ჩემო საყვარელო თანამემამულენო! მიანებეთ თავი ყოველგვარ დამაბრკოლ-
ბელ და შემაფერხებელ ბნელ ძალებს, პოლიტიკასა და რელიგიას, რომელმაც კა-
ობრიობა შეიყვანა გამოუვალ ქაოსში და მიაქანებს მარადიული უფსკრულისა-
ენ ჯოჯოხეთის ჯურღმულში. თქვენ კი მოწოდებულნი ხართ ზეციურ სამეფოს-
ვის, სადაც სუკუნო მშვენიერებაა და მხიარულება.

პატარა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**გადმოვავლენ ჩემს სულს შენ შთამომავლობაზე.**

№ 386 გალობა ქრისტიანისა 70. (ეს. 44,3)

1. სულო, აგზნებულ ცეცხლით, ო, მოდი! გევედრებით მამის, ძისა და შენი აგვავსე სიყვარულით.

მისამღერი: ო, დიდებულო, მოდი! (2), სიმართლე დაამყარე, ლოცვაზე გვიპასუხე შენი ცეცხლით აგვანთე (ეხლა), სულო, აგზნებულ ცეცხლით (2), ო, მოდი გევედრები (2), მამის, ძისა და შენი აგვავსე სიყვარულით.

2. შენი საკურთხეველზე გწირავ სულს, ხორცს და ნებას. ცოდვის ფიქრები მოსპე და შენით გაგვანათე.

3. ჩემს იესოს, რომელიც ჩემთვის არის შეწირული, მსურს მსხვერპლად მივუტანო, რაც ჩემთვის ძვირფასია.

4. ჩემი პირი რწმენით გთხოვს იმ აღთქმებს წმინდა სისხლის, რომელიც მომცა ქრისტემ. როდესაც მოკვდა ჩემთვის.

5. იესო ქრისტე მოვა, მომცემს სულის სისრულეს და მისგან განწმენდილი ვადიდებ მისი სახელს.

6. მივენდობი მთლიანად ღვთის კრავს იესო ქრისტეს, მუხლს ვიყრი მის წინაშე, ის მაძლევს მე სისრულეს.

**სულის ნაყოფი არის სიხარული.**

№ 388 ბოზლანი 97. (გალ. 5,22)

1. სულო, ნაყოფის მომქმედო, განაახლე სიხარული, მომეცი, ცხოველმყოფელო, ცეცხლივით სიყვარული. შენგან მაქვს ჯილდო სიცოცხლის, მაქვს სიმდიდრე ზეცაში, არ არის უძვირფასესი სხვა მადლი ცხოვრებაში.

მისამღერი: შენი მქონდეს სიხარული და ნეტარება სულის, მქონდეს სრული სიტკბოება ზეციური სინათლის.

2. ვილუპებოდი ცოდვებში - შენ ყველა დამავიწყე, მსურს, რომ დახსნის სიხარულით შენს წინაშე დღეს ვთრთოდე. აღვსილმა სიხარულითა მსურს მოვუწოდო მეც სხვებს, ნეტარება რომ ვაუწყო ეხლა მეც დაკარგულებს.

3. მომეცი მე სიხარული, რომ ანათებდეს პირშიც, რომ გადიდებდეს გაქებდეს წამებაშიც და დევნაშიც. სულო, ნაყოფის მომქმედო, განაახლე სიხარული. მომეცი, ცხოველმყოფელო, ცეცხლივით სიყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლია არის კარგი მედიცინა

ერთ ექიმთან მივიდა ავადმყოფი დედაკაცი. იგი შესჩიოდა ნერვიულობასა და სხვა სატკივრებზე. ექიმმა გულდასმით მოუსმინა და გამოუწერა წამალი, მიაწოდა რეცეპტი და უთხრა: წადი სახლში და ყოველდღიურად, დილა–საღამოს თითო საათი იკითხე ბიბლია, და ერთი თვის შემდეგ მეჩვენეთ. სანამ ის პროტესტ განუცხადებდა ასეთი წამლის წინააღმდეგ, ექიმმა გამოაცილა დედაკაცი თავისი კაბინეტიდან.

პირველად დედაკაცი ძლიერ გაბრაზდა ექიმზე, მაგრამ შემდეგ იფიქრა და თქვა, გამოვცდი და გავსინჯავ ექიმის რჩევასო.

ერთი თვის შემდეგ წარსდგა ექიმის წინაშე სრულიად გამოკეთებული და გაკურნებული და მიმართა: როგორ გამოიცანით, რომ მე ასეთ წამალს ვსაჭიროებდი, უთხრა დედაკაცმა ექიმს.

ნაცვლად პასუხისა, ექიმი შებრუნდა მაგიდისაკენ, სადაც გადაშლილი ბიბლია იდო ხაზებით აღნიშნული ადგილებით... – „ქალბატონო, მე რომ ამ წიგნს ყოველდღიურად არ ვკითხულობდე, დავკარგავდი ჯანმრთელობის ძალასაც და ცოდნასაც.

„მოავლინა სიტყვა თავისი და განკურნა ისინი“ (ფსალმ **107,20**)

„ძეო ჩემო! სიტყვას ჩემსას ჩაუკვირდი და მეტყველებას ჩემსას მიაპყარ ყური, იმიტომ რომ ისინი სიცოცხლეა მათთვის, ვინც იპოვა ისინი, და სადღეგრძელოა მთელი მისი სხეულის“ (იგავი **4,20-23**).

თარმნილი

**რამეთუ რომელი ორგულობდეს, მსგავს**
**არის იგი ღელვასა ზღვასა. (იაკ. 1,6)**

**№ 38 ბობლონი 92.**

**1. განკურნე ჩემი ეჭვები, რომ მჭვალავენ დროებით,**
**ბოროტმოქმედი წუთები, რაც რომ მქეჯნის მე სულით (2)**
**2. არა მსურს მე ეჭვი მქონდეს, რომ მე შენი შვილი ვარ,**
**რომ მე შენ არ დამირიდე, შენს შვილებთან მეცა ვარ (2)**
**3. უკუჰყავი ჩემი ეჭვები, რომ ქვეყნად ვარ უძლური.**
**შენ წამიყვანე ბრძოლაში, ვიყო გამარჯვებული (2)**
**4. დამეხმარე, რომ მე სულით წუთსაც არ გშორდებოდე,**
**მკაცრი მტერი თავის ისრით ჩემს სულს არ აღელვებდეს (2)**

# ფსალმუნი 2

1 რატომ ბობოქრობენ ხალხები, და ერები განიზრახავენ ამაოებას?
2 ამხედრებულან მეფენი ამქვეყნიურნი და შეთქმულან თავადნი უფლისა და მისი ცხებულის წინააღმდეგ:
3 „დავგლიჯოთ მათი სადავეები და მოვიშოროთ მათი ხუნდები“.
4 მკვიდრი ზეცისა იცინის, უფალი აბუჩად იგდებს მათ.
5 მაშინ ეტყვის მათ თავისი რისხვით და თავისი გულისწყრომით შეაძრწუნებს:
6 „მე ვაკურთხე მეფე ჩემი სიონზე – ჩემს წმიდა მთაზე“.
7 გიამბობთ უფლის გადაწყვეტილებას: უფალმა მითხრა: „შენ ძე ხარ ჩემი, დღეს გშობე მე.
8 მთხოვე და მოგცემ ხალხებს სამემკვიდროდ, ხოლო ქვეყნის კიდეებს – სამკვიდრებლად.
9 შენ დალეწავ მათ რკინის კვერთხით, მეკეცის ჭურჭელივით დაამსხვრევ“.
10 ახლა კი გონს მოდით, მეფენო! განისწავლენით, მსაჯულნო ქვეყნისა!
11 ემსახურეთ უფალს შიშით და შეჰღაღადეთ თრთოლვით.
12 პატივი ეცით ძეს, რომ არ განრისხდეს უფალი და არ დაიღუპოთ გზაში, რამეთუ მალე აინთება რისხვა მისი. ნეტარ არს ყველა, ვინც მასზეა მინდობილი.

**გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა**

1. 1963 წელს გამოიცა ახალი აღთქმა (ძველი სტილით)
2. 1977 ,, ,, წიგნი 500 საგალობლით
3. 1979 ,, ,, იოანეს სახარება (ცალკე წიგნად თანამედროვე ენაზე)

ყველა მსურველს შეუძლია მოითხოვოს შემდეგი მისამართით:

**A. BAINDURASCHWILI, Untersbergstr. 2a**
**A-5020 Salzburg**

ქ:: [illegible] 1980 წლის 5 აგვისტოს
[illegible], [illegible] [illegible]-
[illegible] ის. [illegible] და [illegible]
[illegible] [illegible] „[illegible]" [illegible]-
[illegible] ([illegible]) [illegible] [illegible].

[illegible]

1415